№ 191 სექტემბერი 7, სამშაბათი 1893 სექტემბერი 7, სამშაბათი № 191

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. კრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ტფილისი

6 სექტემბერს

ეხლა სრულიად გამორკვეულია, რომ ჩვენს ქვეყანას წრეულს მოსავალი დააკლდება. მრავალ ადგილიდგან მოგვდის ამბავი, რომ პური ნაკლებად მოსულა, და სადაც სიმინდია, იქ ბევრგან არასფერს მოელიან, რადგანაც გვალვას ძალიან დაუზარალებია. ასე იწერებიან კახეთიდგან და იმერეთიდგან; ნამეტურ ზემო-იმერეთში დიდი ნაკლებობა არისო.

მართალია, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში არ გაგონილა რომ შიმშილით ჯერ ვინმე მომკვდარიყოს, მაგრამ გონიერება მოითხოვს, რომ ასეთ დიდ საქმეში, როგორიც არის ხალხის სარჩოს ნაკლებობა, დროზედ იყოს მიღებული საჭირო საშვალება, და ისე არ შევიწროვდეს ხალხი, რომ ჩარჩებმა და სოფლის წურბელა კაცებმა პურში ერთი-ორად ფასი არ გადაახდევინონ. თუ წინადვე არ იქმნა მიღებული ღონისძიება, უეჭველია იმ ადგილებს, სადაც საკმაო მოსავალი არ მოვიდა, მრავალი გაჭირვება და უსიამოვნობა დაადგებათ მცხოვრებთა; აგრეთვე, თვით ადგილობრივ მოხელეთაც, ვფიქრობთ, არ ექმნებათ სასიამოვნოდ, რომ ზამთარში, როდესაც მიმოსვლა უფრო ძნელია სოფლებში, ცუდი ამინდების გამო, მაშინ დაიწყონ ფაცა-ფუცი და ზრუნვა, რომ გაჭირვებულ ხალხს სარჩო მიაწვდინონ.

არ არის ისეთი ძნელი და სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც არა მოეხერხდებოდეს-რა, მხოლოდ შეგნებით და ფხიზლად უნდა მოეპყროს კაცი ყოველს ასეთს გარემოებას.

ჩვენს ქვეყანაში ყოვლად შეუძლებელია, რომ საერთოდ ყველგან ერთს დროს მოსავლის ნაკლებობა იყოს. საქართველოს ბუნება ისე მრავალ გვარია, ისე განსხვავებულია ერთი მხარე მეორისაგან, რომ ერთიანი მოუსავლობა სრულიად წარმოუდგენელია. რაც დააკლდება ერთს კუთხეს, შეიძლება შევსებულ იქმნას მეორე ადგილითგან.

ამას გარდა, კარგი იქნებოდა, რომ ადგილობრივმა მთავრობამ, სადაც-კი მოსავალი ნაკლებია, შეაგროვოს საჭირო სტატისტიკური ცნობები, როგორც მოსავლის ჭირნახულისა, აგრეთვე იმისიც, თუ რამდენი სული ითვლება იმ ადგილებში და რა შეძლების ხალხია. ყველა ეს ცნობანი საჭიროა იმისთვის, რომ მთავრობამ მიიღოს ჯეროვანი და შესაფერი ღონის-ძიება, ხალხი სარჩოს ნაკლებობისაგან იხსნას.

მევლე

◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფი აღარ არის.

სექტემბრის 3, 4 და 5 ტფილისში ხოლერით არავინ არ გამხდარა ავად.

რკინის გზის სამკურნალოში სექტემბრის 4 ხოლერით ავადმყოფი იყო 2.

ტფილისში ხოლერა გაჩნდა ივლისის 27. ამ დღიდგან სექტემბრის 2-დე ტფილისში ავად გახდა ხოლერით სულ 90 კაცი; მათ შორის ოთხი რკინის გზის სხვა-და-სხვა სადგურებიდან ჩამოიყვანეს. ამათ შორის 57 კაცი გარდაიცვალა, ერთი ისევ ავად არის და 32-იც მორჩა.

რკინის გზის სამკურნალოში სექტემბრის 4 მატარებლით ჩამოიყვანეს ერთი ხოლერით ავადმყოფი რკინის გზის ტელეგრაფისტი, რომელიც ავად გამხდარა შორაპნის მაზრაში. ამავე დღეს აქ გარდაიცვალა 1, ასე რომ სექტემბრის 6 დილით დარჩა 2 ხოლერით ავადმყოფი.

სამხედრო სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფები აღარ არიან.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის სოფელ საცხენისში აგვისტოს 31 ორი ხოლერით ავადმყოფი დარჩა. ამ დღეს კიდევ ავად გახდა ხოლერით ერთი. 1 სექტემბერს ხოლერით გარდაიცვალა 1 და სექტემბრის 2 ამ სოფელში 2 ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

ტფილისის მაზრის სოფ. ახალ-სოფელში ხოლერით ავად აღარავინ არ გამხდარა და სექტემბრის 1 ამ სოფელში ერთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

◆

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა-ძე შერემეტევი წუხელ, ღამის პირველ საათზე, ტფილისიდგან მცხეთას გაემგზავრა და დღეს დილით იქიდგან კავკავს წავა და შემდეგ პეტროვსკით—დაღესტანს.

⁂ მის უწმინდესობამ სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსმა გუშინ სომეხთა სასულიერო სემინარია, დედათა სასწავლებელი და რამდენიმე ეკკლესია დაათვალიერა. დღეს, დილის 8 საათზე, საგანგებო მატარებლით ალსტაფაზე გაემგზავრა, რომ აქედამ ეჩმიაძინს მივიდეს.

⁂ კომისიის-მიერ შემუშავებული პროექტი ქალისა და კაცის უფლების გათანასწორების შესახებ მემკვიდრეობის მიღებად, იუსტიციის მინისტრმა გარდასცა განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც სამოქალაქო დებულებას ადგენს.

⁂ ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, ოკულისტი, ბ-ნი მაკლაკოვი. ბ-ნი მაკლაკოვი კავკავსა ყოფილიყო თავის საქმეების გამო და იქიდამ კავკავის გზით საქართველოშიაც ჩამოვიდა ჩვენის ქვეყნის დასათვალიერებლად. როგორც ამბობენ, რუსეთის შესანიშნავს ოკულისტს ძრიელ მოსწონებია აქაურობა, მეტადრე ბუნება ჩვენის ქვეყნისა და უთქვამს, რომ შვეიცარია ვის ეკადრება, ისე დიდებულია და მრავალ-გვარ ფეროვანი ბუნება კავკასიისაო. ბ-ნი მაკლაკოვი საზოგადო მოღვაწეც არის: ხმოსნად იმყოფება მოსკოვის ქალაქის საბჭოში და მჭევრმეტყველის ორატორის სახელიცა აქვს. მკურნალნი ტფილისისა პატივისცემით მიეგებნენ მსწავლულს სტუმარს და ვახშამიც გაუმართეს.

⁂ სოფ. სვირი: (იმერეთი): წელს ძრიელ ნაკლები მოსავალი გვაქვს. სიმინდი და ღვინო ამ ჟამად ძრიელ ძვირად იყიდება. ფუთი სიმინდი აქ მანათად ჰღირს. შოვნაც არ არის, თორემ ამ ფასს კიდევ არ ვინაღვლიდით. უნდა შორიდამ მოვიტანოთ და მოტანა კიდევ ფუთზე თითო აბაზი გვიჯდება. ხილი წელს სულ მოსპობილია. გვალვამ ხეხილს სულ ბოლო მოუღო. მიწა ისეა დამსკდარი მეტის-მეტის უვდრობისაგან, რომ ფეხი ჩაუვარდება შიგ კაცსა.

⁂ საჩხერე: როგორც დაჯეშმარიტებით ამბობენ, აქ შესდგა ამ მოკლე ხანში თთ. წერეთელთაგან ბ-ნ ეჯუბოვის თაოსნობით ამხანაგობა სპირტისა და კონიაკის კეთებისათვის. ამხანაგობის წევრთ შეაერთეს თავიანთი ვენახები და სპირტ-კონიაკის წარმოებისათვის დაიბარეს საჭირო ავეჯი და მოწყობილობა.

როგორც ისმის, ამხანაგობათა შედგენას აპირობენ კიდევ სვირში ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის განკარგებისათვის და ზესტაფონში—შავის-ქვის მრეწველობის წარსამატებლად.

⁂ ქ. ახალციხე: 10 აგვისტოს ქ. ახალციხეში გაიმართა ლოტარეია-ალეგრი რაბათის სკოლის სასარგებლოდ. ეს ერთად ერთი სკოლაა ქალებისა, სადაც ყველა წოდების და რჯულის ქალი სწავლობს. ამ სკოლას საკუთარი სახლი არა აქვს და ეხლა საკუთარ შენობის აგებას აპირებენ, რომლისთვისაც გენერალ-მაიორს მუსხელაშვილს 200 მან. შეუწირავს.

⁂ დ. სურამი: სურამის მცხოვრებლები ძალიან შიშში ჩავარდნენ: ამ ორს დღეში უკვე გარდაიცვალა ოთხი ურია და ერთიც სომხის ქალი. რადგანაც ყველანი დაიხოცნენ პირღებინებითა და ფაღარათობით, ხალხში ხმა გავრცელდა, ვითომც ხოლერა იყოს. რამდენიმე სული არის კიდევ ავად ამ ნაირადვე. დღეს სურამის მამასახლისმა დეპეშით აცნობა ეს ამბავი მაზრის უფროსს.

სურამში ყოველგვარი უსუფთაობაა და ყოველგვარ უვარგისს სანოვაგეს და მკვახე ხილეულობასა ჰყიდიან.

⁂ დ. სამტრედია: აქაურ მცხოვრებთ გამოეცხადათ სახალხო სკოლების დირექტორის მიწერილობა სკოლის დაარსების შესახებ. სამტრედიას არ გაუჭირდება, რასაკვირველია, ამ კეთილ აზრის განხორციელება. აქამდის ამოდენა დაბაში, რომელიც დღე-დღეზედ ქალაქად გადიქცევა, ერთი სასწავლებელიც არ არის.

ერთმა ახალგაზდა კაცმა ვლადიმირ ქაჯაიამ სააფთიაქო მაღაზია-

ფელეტონი

შენიშვნები მეცნიერებისა და ტეხნიკის შესახებ

(წერილი ლონდონიდამ)

ელექტრონის ძალა.—შეკუმშული გაზი.

პირველს ჩვენს წერილში ლაპარაკი გვქონდა წყალის ძალ-ღონესა და მის მნიშვნელობაზე მრეწველობისათვის. მაგრამ ყველგან ხომ არ არის ისეთი წყალი, რომლის ძალ-ღონის გამოყენება შეიძლებოდეს. ბევრია ისეთი სამრეწველო ქალაქი, რომელიც მოკლებულია მდინარე წყალს; აგრეთვე დაბლობ ადგილებსა და ვაკეებზე მცხოვრებნი, დიდი წყალიც რომ ჰქონდეთ, ვერ გამოიყენებენ წარმოებისათვის. ამისთანა ადგილებში, მეტი ღონე არ არის, უნდა ორთქლს მიჰმართოს კაცმა. მაგრამ ორთქლის გამოსაყენებლად რთული მაშინებია საჭირო; მაშინებს კიდევ შეშა უნდა გასახურებლად და წყალის სადუღებლად; შეშა-კი ძვირია; შეშაცა და ქვა-ნახშირიცა. ამიტომ ორთქლით წარმოების გაძლიერება ხელ-მისაწვდომი არ არის მცირე და პატარა სახელოსნოებისათვის. ამათ ბედზე გაჩნდა ბოლოს გაზის მაშინა ოტტოსი და შეკუმშულის ჰაერის ხმარება.

ოტტოს მაშინა მოძრაობს ზუმბით, რომელიც ადის და დადის ანაფეთქ გაზის შემწეობით. ორთქლის მაშინის ჩვეულებრივს ცილინდრში, ორთქლი შედის რიგ-რიგით ხან თავიდამა და ხან ბოლოდამ და, რადგან ორთქლს ისეთი თვისება აქვს, რომ იკუმშება და იშლება, აწვება ზუმბას და ამოძრავებს წინ და უკან. ოტტომ ორთქლის მაგიერობა ჩვეულებრივს სანათს გაზს გააწევინა; ამ გაზის აფეთქებით მოძრაობს ცილინდრში ზუმბა ხან წინ და ხან უკანა. ამ სახით ოტტომ გააუქმა ძვირად ღირებული ორთქლის მაშინები, ბევრის შეშა-ნახშირის ჩამნთქავი, და მაღალ-მილიანი ბუხრები, რომელსაც უკეთებენ ჩვეულებრივს ქარხნებს ბოლის ასასვლელად. თვითონ მაშინას პატარა ადგილი უჭირავს, გაზიც ადვილი მოსაპოვებელია იმ მილებით, რომელიც ქუჩების გასანათებლად არის გაყვანილი; მისი ფასიც ისეთი მცირეა, რომ ლონდონში ბევრმა წვრილ-წვრილმა სახელოსნომ და პატარ-პატარა ქარხანამ დაიკვეთა ასეთი გაზი. ერთმა სულ პატარა თამბაქოს სახელოსნომ, რომელიც ჩემს ნაცნობს ეკუთვნის, უფრო სახეიროდ დაინახა თუთუნის ჭრა ოტტოს მაშინით, ვიდრე ორის მუშა კაცითა, რომელთაც დღეში ოთხ-ოთხ შილინგს აძლევდა.

სანათი გაზი პარიჟში ძლიერ ძვირია, რადგან მისი საქმე გაზის საზოგადოებამ ჩაიგდო ხელში. ამის გამო ოტტოს იაფ-ფასიანი მაშინა მეტად ძვირია და ძნელად ხელ-მისაწვდომი მცირე სახელოსნოებისათვის. იქ დაარსდა კამპანია, რომელიც მილებით ადენს შეკუმშულს ჰაერს. პარიჟის იმ უბანში, საცა წარმოება და მრეწველობა სდუღს და გადმოდის, გამართულია ქარხანა დიდის ორთქლით მომქმედის სასრუტელათი, რომელიც ისრუტავს ჰაერს და აგროვებს ერთს სქელ-კედლებიანს უზარ-მაზარ აუზში. აქედამ გაყვანილია მილები ქუჩებში, სწორედ ისე, როგორც წყლისა და გაზისათვის. სახელოსნოში სდგამენ ისეთსავე აპარატს, როგორიც ჟენევაშია გამართული წყალით სატრიალებელ ბორბლებით. გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ ბორბლის ფრთებს წყლის მაგიერ სცემს და ამოძრავებს შეკუმშული ჰაერი. ამ გარემოების წყალობით გაჩნდა ძალიან იაფ-ფასიანი ძალ-ღონე მაშინების სატრიალებლად და, ვინ იცის, რამდენი მცირე და პატარა სახარატო, საშლიაპო, ტანთ-საცმელის საკერავი და სხვა სახელოსნოები ამოძრავებენ ახლა თავის დასგებს და მაშინებს ჰაერის ძალითა.

**

ყოველ ამის გამო მცირე სახელოსნოებში გამუდმებული, გაცხარებული მუშაობაა, რაიცა თავმდებია და უზრუნველ-მყოფელი ხელოსნისა და ოსტატის დაუმოკიდებლობისა. ამ საწყლებს ზოგნი ხომ დღესაც-კი უქადიან, მოჯამაგირე ავტომატად გადიქცევი ფულიან კაცთა დიდს ქარხნებში ან და სახელმწიფოს დიდს სახელოსნოებში—ყაზარმებშიო. მაგრამ საქმე ის არის, რომ წყალისა, გაზისა და შეკუმშულ ჰაერის გამოყენებას მილები უნდა, წყალისა და გაზის გასაყვანი. ეს გარემოება ძალიან აძვირებს მექანიკურ ძალას. მილების მოწყობას მაინც კარგა ხარჯი უნდა. არ შეიძლება ვითომ უმილოთოდ იოლად წავიდეს კაცი? მეცნიერება ეუბნევა, რომ შეიძლებაო. გათავდა! რაკი ტეხნიკამ დაიწყო

აარსა, სადაც შეიძლება საწყალმა ხალხმა აფთიაქზედ ბევრით იაფად იყიდოს საჭირო წამალი.

ამას წინად ჩვენ მივიღეთ 61 მან. განჯიდამ რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ და თავის დროზედ გამოვაცხადეთ. ეხლა ვბეჭდავთ სიას შემომწირველთა:

დიმიტრი ქვლივიძემ 3 მან., სოლომონ ღოლიძემ 3 მან., დავით გოცირიძემ 3 მ., ივანე შარუხიამ 3 მ.,სარდიონ ჭუმბურიძემ 1 მ.,ივანე ბაბაჯანიდმა 3 მ., სიმონ კალანდაძემ 3 მ., ივანე გლადკოვმა 2 მ., იაგორ გოგიბერიძემ 2 მ., ლეონ ტერ-გრიგორიევმა 2 მ., კალისტრატე ჩიქოვანმა 2 მ., იაგორ ჩხაიძემ 1 მან., ივანე გამყრელიძემ 1 მან., თეოფილე კალანდაძემ 1 მან., ამბაკო ბახტაძემ 1 მ., ივანე ქუქუაშვილმა 1 მან., კონსტანტინე ქვლივიძემ 1 მ., გიორგი ზალდასტანოვმა 1 მ., სოფრომ კანდელაკმა 1 მ., გიორგი ხარებოვმა 1 მ., მოსე მაჩიტაძემ 1 მ., მიხაილ მურადოვმა 1 მ., ნიკოლოოზ ქუთათელაძემ 1 მ., სიმონ ჯაფარიძემ 1 მ., ნიკოლოოზ ტარაძემ 1 მ., გრიგოლ შაბუროვმა 1 მ., ალექსანდრე თოფურიძემ 1 მ., იაკობ ნოდიამ 2 მ., საბა გვემცაძემ 1 მან., ნესტორ შუშანიამ 1 მ., კოსტა კაპატაძემ 1 მ., ანტონ ყიფშიძემ 1 მ., გრიგოლ ადეიშვილმა 1 მ., ნაზარ ბალდანოვმა 1 მ., გოროდნიჩენკომ 20 კ., ვლადისლავ რაზვადოვსკიმ 1 მ., სიმონ მასხარაშვილმა 1 მ., ამბარცუმ მირიმანოვმა 1მ., ლუარსაბ მოწოწელიძემ 20 კ., ბესარიონ თოფურიძემ 1 მ., მაქსიმე ჰეიშვილმა 1 მ., ვასილ ფანჯავიძემ 1 მ., ნიკოლოოზ ჯოჯიშვილმა 1 მ., ივანე გოგოხიამ 1 მ. სულ 61 მ. 40 კაპ.

მთავრობის განკარგულებანი

თელავის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო აცხადებს, რომ თელავს იგი შეუდგება თავის მოქმედებას:

1 ნაწილში 25 ოქტომბრიდგან, მე-2 ნაწილში—2 ნოემბრიდგან, მე-3—15 ოქტომბრიდგან.

ზემოხსენებულ ვადაზედ და აღნიშნულ ადგილებში მოვალენი არიან გამოცხადდნენ:

1) ისინი, რომელთა წლოვანება შემოწმებულ უნდა იქმნას გარეგან შეხედულობით 109—112 მუხლ. ძალით სამხედრო ბეგრის წესდებისა;

2) ისინი, რომელნიც, 158, 353 და 354 მუხლ. ძალით სამხედრო ბეგრისა უკენწოდ უნდა ჩაირიცხნენ სამხედრო სამსახურში;

3) ისინი, ვისაც ვადა მიეცა, წლევანდელ მოწოდებამდე სამხედრო ბეგრის გარდახდისა;

და 4) ყველა ისინი, ვინც ჩაწერილია მოწოდების სიაში, იმათ გარდა:

ა) ვინც მღვდლად ეკურთხა მართლ-მადიდებელ, ანუ სხვა საქრისტიანო ეკლესიისა; აგრეთვე მართლ-მადიდებელ ეკლესიის მედავითნენი, რომელთაც სწავლა დამთავრებული აქვთ სასულიერო აკადემიაში, სემინარიაში, ან სასულიერო სასწავლებელში;

ბ) ვინც სასწავლებელში სწავლობს და საკრებულოს მიერ ვადა მიეცა სწავლის დასამთავრებლად;

გ) ვისაც ვადა მიეცა იმის გამო, რომ სამსახურში ითვლება სავაჭრო ფლოტის გემზედ, და დ) ვისაც I ხარისხის შეღავათი აქვს მინიჭებული, გარდა ებრაელებისა; უკანასკნელნი მაინც უნდა გამოცხადდნენ საკრებულოში, თუმცა 1 ხარისხის შეღავათიც ჰქონდეთ მინიჭებული.

კორრესპონდენცია

დ. ზესტაფონი. ჭიათურის რკინის გზის შტო თირში კიდეც ჩავიდა, ე. ი. სალიეთიდგან ორ ვერსის მანძილია დამზადებული· ჭიათურაში გზა მოკლე ხანში შევა და მაშინ პირდაპირ იქიდგან შეიძლება მატარებლებით შავი-ქვა წამოიღონ შორაპნისათვის.

უკანასკნელ წლებში, ორთა შუა რიცხვით, საზღვარ-გარედ რვა-რვა მილიონი ფუთი შავი-ქვა გადიოდა. წლეულაც მომავალ წლის თიბათვემდე ჩასაბარებლად რვა მილიონი ფუთია შემოკვეთილი. მწარმოებლებს იმედი აქვთ, სადაც არის, რკინის გზა დამთავრდება, შავი-ქვის გადმოტანის ქირა დაიკლებს, შავი-ქვის ფასიც დაიწევს და ამის გამო შავი ქვის მოთხოვნილებაც იმატებსო. მაგრამ შეიძლება ამ იმედზე ადვილად აიღონ ხელი. თავში საცემი ამ რვა მილიონ ფუთის გადმოტანაა. რკინის გზას 4 მილიონის გადმოტანა თუ შეუძლია, თორემ მეტისა არა. თან ამბობენ, ახლად გაკეთებულის გზით მხოლოდ 4—6 მილიონი ფუთი საქონელი უნდა გადმოიზიდოსო. ეს კიდევ უარესი!

გაიაფებულ საქონელზე, როგორიც იქნება შავი-ქვა ჭიათურის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, მოთხოვნილება მოიმატებს, ეს ეჭვს გარეშეა. თუ წინა წლებში რვა-რვა მილიონი გადიოდა, ახლა ეს რიცხვი ათ მილიონამდე მაინც ავა. ჭიათურის რკინის გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლები თავიანთს ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, კარზე მიმდგარ ყოველის მხრივ მოხერხებულის რკინის გზით გაიტანს ბაზარში და მამა-პაპურ ურემ-ჩალვადრებს ზურგს შეაქცევს. ამ სახით, შავის-ქვის გარდა ჭიათურის გზას სხვა საქონელიც ექნება გადასაზიდ-გადმოსაზიდი. ამასთან ცოტა-კი არა! კარგი, და რამ უნდა გადმოიტანოს ყოველივე ეს? რა თქმა უნდა, არა იმ ოთხმა საცოდავ ლოკომოტივმა საცოდავებისავე ვაგონეტებით, რომელთა რიცხვი ასსაც არ აღემატება... საჭიროა ლოკომოტივები უფრო მეტის ღონისანი იყოს, ვიდრე ახლანდელებია. საჭიროა ვაგონეტების რიცხვსა შესამჩნევად მოემატოს. ეს უკანასკნელები მაგრები და კარგის კონსტრუქციისა უნდა იყოს. ახლანდელ ვაგონეტებს ბუფერები აღარა აქვს, ყოველ ერთმანეთის შეხლაზე ზიანდებიან, ხშირად იმსხვრევიან კიდეცა.

ის შიში, რომ ვითომ დახარჯულს ფულს ეს გზა ჩქარა ვერ დაიბრუნებსო—უადგილო უნდა იყოს. ამ გზით საქონლის გადატანის ქირა ფუთზე ორ ორი შაურია დანიშნული. გზას-კი სულ 37 ვერსი აქვს სიგრძე!.. საქონლის გადატანის ქირა (ფრახტი) და გზის მანძილი ოღონდაც ერთმანეთს არ შეეწონება, მაგრამ მეტი რა გზაა, ისა თქვით: გზის მართებლობამ თავი გამოიდო და იმდენი იმეცადინა, რომ ამ ახლად გაკეთებულ გზას ათი მილიონი ფუთი საქონელი გადმოატანინა. აქ გასაოცებელი და შეუძლებელი ბევრი არაფელი უნდა იყოს. მაშინ, ანგარიშის ძალით, რკინის გზამ უნდა აიღოს ერთი მილიონი მანეთი! ამაზე მეტი ამ შტოს გაყვანაზე აღარც-კი დახარჯულა.

საჩხერედგან მოყოლებული დ. ზესტაფონამდე მდებარე სოფლები, ზამთარი დადგება თუ არა, ამ ქვეყნიერობას მოწყვეტილია. მთელი ეს არემარე, ტალახის მორევად არის ქცეული: ზედ გავლა, ერთ ადგილიდან მეორეს გადასვლა საგმირო საქმედ ითვლება. ამას ახლა ისიც დაურთეთ, თუ რა ძვირადა ჯდება ამ ადგილებში ცხენის დაქირავება (თუ არ ცხენით, სხვაფრივ მგზავრობა შეუძლებელია)! ზესტაფონიდგან ჭიათურამდე ორმოცდახუთამდე ვერსია. ამ მანძილის გასავლელად სულ უკანასკნელი ოთხი მანეთი მაინც უნდა მისცეთ ცხენის პატრონს, ისიც თუ კაი დარია; თუ ტალახებია, ან სულ ვერ იშოვით ცხენს, ან არა-და ერთი-ორად უნდა გაიღოთ ცხენის ქირა. ახლა ყველასათვის ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ღვთის წყალობა იქმნება აქაურ მკვიდრთათვის კარ-წინ რკინის-გზის გაყვანა და ზემო დასახელებულ უხერხულობათა თავითგან აცილება! ეს უფრო ითქმის აქაურ შავის-ქვის მწარმოებლებზე, რომელთათვის მოურიდებელს საჭიროებას შეადგენს ხშირ ხშირი მიმოვლა ჭიათურასა და შორაპანს შუა. ამიტომ ლაპარაკიც-კი მეტია იმაზე, რომ საქონლის მატარებლებ გარედა სახალხო მატარებლებსაც უნდა ჰქონდეს ამ ორ სადგურ შუა მიმოსლა. ეჭვს გარეშეა, რომ სახალხო მატარებლებიც მოუტანს სათანადო სარგებლობას, როგორც ხაზინას, ისე მკვიდრთ.

მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ფოთის ნავთ-სადგურზედაც იმ მჭიდრო კავშირისა გამო, რომელიც ამ ნავთ-სადგურსა და შავის-ქვის საქმეს შორის არსებობს. ფოთიდგან საზღვარ გარედ ყოველწლობით გააქვსთ 8 მილიონამდე ფუთი შავი-ქვა. ეს რაოდენობა ჭიათურის რკინის გზის შტოს დამთავრების შემდეგ, რა თქმა უნდა, იმატებს. საზღვარ გარედვე გააქვთ ფოთისავე ნავთ-სადგურიდგან საკმაო რაოდენობა სიმინდისა. ნავთ-სადგურის იმ ადგილას-კი, რომელიც საზღვარ-გარეთის ორთქლ-მავალ გემების დასადგომად არის დანიშნული, მხოლოდ სამი გემი ეტევა. როცა ამ ადგილს სამივე გემი ერთად დაიჭერს, მათს შემდეგ მისული გემი იძულებულია მთელის კვირაობით ნავთ-სადგურს გარედ იცადოს. სანამ ერთ-ერთი პირველად მისულთაგანი არ დაიტვირთება, მანამ ესეც ნავთ-სადგურს ვერ მოადგება და საქონელს ვერ მიიღებს. ცხადია, გემი რაც ცუდად იდგება იმდენა საზარალოა გემის პატრონისათვის. თავის სივიწროვისა გამო, ფოთის ნავთ-სადგურს საზღვარ-გარედ ძალიან ცუდი სახელი აქვს დავარდნილი,—გემების პატრონთათვის საფრთხობელადაც არის ქცეული. ასე რომ, ეს უკანაკსნელი საქართველოს შავის-ქვის წასაღებად გემებს ან სრულიად არ აქირავებენ,—თქვენგან ზარალის მეტს ვერასა ვხედავთო,—ან თუ აქირავებენ, მეტად დიდს ქირასა თხოულობენ.

ფოთის ნავთ-სადგურის შესახებ, სადაც ჯერ არს, საქმე დაწყებულია და მისი გაგანიერება საჭიროდ ცნობილიცაა. მხოლოდ საკითხავი ის არის, ასეთს ბედნიერს დღეს აქაურის შავის-ქვის მწარმოებელნი როდის ეღირსებიან? სასურველი-კია ჭიათურის რკინის გზის დამთავრებას ფოთის ნავთ-სადგურის გაგანიერებაც ზედ მოჰყვებოდეს. მაშინ-კი შეიძლება ითქვას—ჩვენებური შავის-ქვის წარმოება უზრუნველყოფილიაო.

ამ სახით, სამგვარი საქმეა გადასაწყვეტი, სამივე დიდ-მნიშვნელოვანი შავის-ქვის წარმოებისათვის. სწორედ ამ სამის საქმის გადაწყვეტა სთხოვეს აქაურ შავის-ქვის მწარმოებლებმა გზათა მინისტრს. იმედია, მათი კანონიერი თხოვნა შეწყნარებულ იქმნება. და ამ გვარად მოგებაში დარჩება ინტერესები, როგორც ხაზინისა, ისე შავის-ქვის მწარმოებელთა.

თ. ს.

წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად „ივერია“-ში იყო მოხსენებული, რომ 22 აგვისტოს დ. ლანჩხუთში წარმოდგენა იქნება გამართულიო. ეს წარმოდგენა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, მაშინ ვერ გაიმართა. 29 აგვისტოს-კი წარმოადგინეს „ახირებულია“ და „ადამ და ევა“.

წარმოდგენიდგან სრული შემოსავალი იყო 73 მან. და 30 კაპ. ხარჯი 12 მან. და 59 კ.

დანარჩენ 60 მ. 71 კ. გადაეკლო გასაგზავნი და დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

გამგე აპ. ქანქათელი

ლანჩხუთი, 30 აგვისტო

რუსეთი

გაზ. Недѣля-ს მოჰყავს იმის ცნობები, თუ რავდენად დაქვეითებულა რუსეთში მეურნეობა და ამის გამო თანდათან რავდენად ნაკლები მოსავალი მოდის.

უკანანასკნელ წლებში ჰირნახული მოდიოდა 247 მილ. (1891 წ.) ჩეტვერტიდგან 347-მდე. ორთა შუა რიცხვით—$306^{1}/_{2}$ მილ. ჩეტვერტი ანუ $2^{1}/_{2}$ მილიარდი ფუთი. ყოველ დესეტინაზედ (2 დღიურზედ) მოდიოდა 39 ფუთი, როდესაც იტალიაში დესეტინა იძლევა 55 ფუთს, ავსტრიაში—68, გერმანიაში—74, საფრანგეთში—75, შეერთებულ შტატებში—81, ინგლისში—122. ამ რიგად, იმ ქვეყნებშიაც-კი, სადაც ბუნება ხელს არ უწყობს მიწის კარგს მოსავალს, $1^{1}/_{2}$, 2 და თითქმის 4-ჯერ მეტი მოდის, ვიდრე ჩვენში. იმის გამო, რომ არ ვიცით მიწის შემუშავება, ჩვენ ყოველ წელს ვკარ-

---

ფიქრი ღარიბ ხელოსანთათვის, მეცნიერებაც ამბობს მიეშველე გაჭირვებულთ, მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო, ტეხნიკამაც თავისი საქმე აღარ დააგვიანა. გაჩნდა ახლა სრულებით ახალი ძალა, რომელსაც სრულიად აღარ ეჭირვება მილები და ძაფ-მავთულები. ეს ახალი ძალა გახლავთ შეკუმშული ნახშირ-მჟავე გაზი (ნახშირ-მჟავა). ჯერ-ჯერობით არ არის გამოცხადებული საქვეყნოდ, როგორია მაშინა, ან როგორ უნდა მისი ხმარება. ვიცით მხოლოდ, რომ ზემოხსენებული გაზი დაცულია ფოლადის ცილინდრებში, ხოლო თვით მაშინა ძრიელ ჰგავს ცეცხლის გემის მაშინებს; რომ 1 გირვანქა შეკუმშულის გაზისა ეღირება 6 კაპ. და 9 გირვანქა მისი საკმაო იქნება დღე და ღამის მუ- ცხადია, რომ ელექტრონი ბევრად უფრო იაფად ჯდება ჟენევაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გაზის საქმე ჯერ ახალი დაწყებაა. ჯერ ვინ იცის, რა ნაირ გააიაფებს ეხლანდელი ტეხნიკა ამ შეკუმშულს გაზს, ცილინდრებში შენახულს? გავიხსენოთ ისტორია ალუმინისა. თუმცა-კი 54 კაპეიკიც დღე და ღამეში ერთის ცხენის ძალ-ღონისათვის მეტის-მეტად იაფია, იმიტომ რომ, არა თუ საფრანგეთსა და ინგლისში, არამედ ოსმალეთშიც-კი ვერ იშოვის კაცი მუშა-ცხენს ერთს მანათზედ იაფად 12 საათის განმავლობაში. მაშ მეტი იაფობა-ღა უნდა, რომ 54 კაპ. გქონდეთ ცხენის ძალა 24 შაობისათვის, რაიცა უდრის 1 ცხენის ძალას. ფასი-კი გამოდის სულ 54 კაპ. (ისიც კურსით, და არა ოქროთი) 24 საათის მუშაობაში. საათს, ისიც ლონდონსა და პარიჟში!

**

თავი მოგაბეზრათ, ვგონებ, მკითხველო, ამ ლაპარაკმა სხვა-და-სხვა მაშინის შესახებ? მაგრამ არც უამისობა იქნება. მე მინდოდა გაგეგოთ ყოველ ამ სამუშაო მაშინების გარემოება, არა იმიტომ მარტო, რომ ყოველივე ესე ახალ ამბავივით არის. ეგ სატრიალებელი მაშინები სრულიად შესცვლის ეხლანდელის წარმოების ხასიათსა და ბუნებას. რა-კი ეგენი გაჩნდა, ჩვენ შეგვიძლიან თამამად გავუშტეროთ თვალი მერმისსა და მომავალს, იმიტომ რომ, იმედია,—ახლა-კი დიდი თანხა და ქარხანა ველარ ამოართმევს სულს ადამიანს და წვრილ-წვრილ მწარმოებელთა თავისუფალ ამხანაგობას. ღარიბს ხელოსნებსა და ოსტატ კაცებს, აღჭურვილებს იმ სხვა-და-სხვა იარაღით, რომელსაც იგონებს ეხლანდელი მეცნიერება და ტეხნიკა, შეეძლებათ თამამად გაუბნიონ თვალი თვალში მეფეებს ბამბისას, მატყლისას დ ორთქლის მაშინებისას... მაგრამ უფრო-კი ის მინდა, რომ დაფიქრდეთ და ივარაუდოთ, რაოდენად დაუშრეტელია თქვენის ქვეყნის მშვენიერ ბუნებაში ბუნებრივი ძალ-ღონე, მაშინების სატრიალებელ ქარად გადასაქცევი და გამოსაყენებელი. რომელი ძალ-ღონეც გინდა ავიღოთ, წყალის სატრიალებელი ბორბალი, გამართული სახლსა და სახელოსნოში, თუ ელექტრონი და შეკუმშული ჰაერი—მაინც ყოველივე ესე მხოლოდ გადასხვანაირებული ძალაა იმავ ჩქარის მდინარეებისა. ამისთანა წყლები და მდინარენი-კი თქვენს სამშობლო ქვეყანაში მრავალია. წყალი და მდინარე ბევრია და მხოლოდ იმას უცდის, რომ შეგნებულმა საქართველოს შვილმა ისწავლოს თვითონაც და ხალხსაც ასწავლოს, როგორ გამოიყენოს მათი დაუშრეტელი ძალ-ღონე... და ვინ იცის, რა არ არის კიდევ ბევრი და რით არ არის კიდევ მდიდარი თქვენი ქვეყანა! მხოლოდ თქვენ, მის დაუდევარ შვილთ, არა გაქვთ ცოდნა, მხოლოდ თქვენა ხართ ღარიბნი სწავლით, არა გაქვთ მოხერხება, არა გაქვთ მხნეობა, როცა შრომობთ, როცა სწავლობთ რასმე, თორემ, ვინ იცის, რა ნაირ გონივრულად და მდიდრულად არ იცხოვრებდა თქვენი ყურ-მახვილი და გონება ფხიზელი ხალხი!..

W. Vasiani

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავთ ორს მესამედს ადვილად ხელში დასაჭერ სიმდიდრისას. თუ ეს სასჯელია ჩვენის უცოდინრობისათვის, მაშინ ძალიან ძვირად გვიჯდება უსწავლელობა. ერთი ფუთი ხორბალი რომ ათ შაურად ვიანგარიშოთ, ჩვენ ყოველ წელს ხელიდგან გვერთმევა სამ მილიარდ მანეთამდე. ეს უცოდინრობა ძლიერი მტერი ყოფილა, რომელიც ყოველ წელს თავს გვესხმის და ხარკს გვახდევინებს, სწორედ ისე, როგორც 1871 წელს საფრანგეთს კონტრიბუცია წაართვა გერმანიამ.

—

ახალის დებულებით, რომელიც დამტკიცებულ იქმნა ფინანსთა მინისტრის მიერ, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, გლეხთა საზოგადოებათ და წვრილ მამულების პატრონებს პურში მიეცემათ სესხი სახელმწიფო ბანკისაგან. შუამავლობა ამ საქმეში უნდა იკისრონ მაზრის ერობათ. ამ გვარად სახელმწიფო ბანკს სრულიად არ ექნება საქმე თითოეულ მსესხებელთან. ბანკი სესხად ფულს აძლევს ერობას და ერობაც ვალდებულია ბანკს პასუხი გასცეს. ერობამვე უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელ გლეხთა საზოგადოებას და რომელ მამულის პატრონს რამდენი მიეცეს. ბანკს შეუძლიან აგრეთვე ერობას წინდაწინვე ავანსით მისცეს ფული და ერობა ამ ფულს, როგორცა სურს, ისე გაანაწილებს. ერთის სიტყვით, ამ საქმეში თავი-და-თავი მმართველი ერობა იქმნება. სახელმწიფო ბანკი თავის მხრივ მხოლოდ ფულს აძლევს ერობას შემდეგის პირობით: ა) ფული გაიცემა $3^1/_2{}^0/_0$-ით წელიწადში; ბ) ერობას შეუძლიან პურში სესხად გაიღოს $^3/_4$ ფასი პურისა, რომელშიაც აძლევს სესხსა; ყველა დანარჩენი პირობები თვით ერობამ უნდა შეიმუშავოს თავის სურვილისაებრ.

ერობის, რა თქმა უნდა, შეუძლიან გამართოს პურის საწყობები და დანიშნოს ზედამხედველები. საჭიროა, ერობათ ეს საქმე, რაც შეიძლება რიგიანად მოაწყონ, რადგან თუ საქმე რიგიანად არ იქმნა მოწყობილი, ეს ძლიერ ცუდს გავლენას იქონიებს ამ ახლად დაწყებულ საქმეზედ და შეიძლება შეაფერხოს კიდევაც.

პოლიტიკა

—

კელნის გაზეთში დაბეჭდილია წერილი, რომელსაც ოფიციალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს:

იმ დღესასწაულობის შემდეგაც, რომელიც მეცში ვნახეთ, ჩვენ არ დავკარგავთ სიმშვიდეს და სრული იმედი გვაქვს ჩვენის ძლევა-მოსილობისა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი, ვისგანაც ჯერ არს, გაანელებენ იმ ატაცებულს თავ-გასულობას, რომელსაც გამოიჩენენ ფრანგნი რუს-ფრანგთა მომავალ დღესასწაულობაზედ, სხვა გვარ მანიფესტაციით. ეს მანიფესტაცია ერთხელ კიდევ თვალს აუხელს და დაანახვებს, რომ ქვეყნიერობაზედ საკმარისი ძალა მოიპოვება, რომელსაც შეუძლიან რუს-ფრანგთა კავშირს წინააღმდეგობა გაუწიოს და ჯეროვანი პასუხი გასცეს.

—

გერმანიის გაზეთები, —ამბობს Нов. Вр.—ამაოდ სცდილობენ აღნიშნონ განსხვავება სახელმწიფო დაწესებულებათა შორის საფრანგეთსა და რუსეთში; ტყუილად აბრალებენ ფრანგებს, ვითომც იმათ არაფრად მიაჩნდეთ „რუსეთის ბარბაროსები". რაც უნდა დიდი განსხვავება იყოს რუსეთის იმპერიასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის, რაც უნდა არა ჰგვანდეს ერთმანეთს ეს ორი ხალხი ხასიათით, რაც უნდა 'დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთზედ სწავლა-განათლებით, კულტურით,—უეჭველია, რომ ყოველივე ეს განსხვავება უკან ჩამოდგება იქ, სადაც აუცილებლად საჭიროა, პოლიტიკური მოთხოვნილებაა, ურთიერთისათვის ხელის გაწვდენა და ორთა დაკავშირება იმ მოსაზრებით, რომ მათის კეთილ-დღეობის დამრღვევი მტერი თავიდგან აიცილონ.

საქმის ვითარება იმ გვარია ეხლა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს არ შეუძლიან ცალ-ცალკე თავის ძალას დაემყარონ. მათი ერთმანერთისადმი დახმარება აუცილებლად საჭიროა. მხოლოდ ერთმანერთის იმედით შეუძლიანთ რუსეთსა და საფრანგეთს იცხოვრონ მშვიდად და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერავინ გაჰბედავს მათი მყუდროება დაარღვიოს, მათს უფლებას და ქონებას ხელი შეახოს.

სხვა მნიშვნელობა არცა აქვს და არც ექმნება რუს-ფრანგთა კავშირს.

რუსეთსა დ საფრანგეთს არა უნდათ-რა მშვიდობიანობის მეტი, იმის მეტი, რომ დაცულ იქმნას აწინდელი დამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის, statu quo, და თუ ამისთანა მეგობრული კავშირიც შეუკრავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აუცილებელი იყო. როდესაც თ. ბისმარკი იმპერატორს ვილჰელმს ურჩევდა, საფრანგეთს ელზას ლოტარინგია წაართვათო დმ შემდეგ ბერლინის კონგრესზედ რუსეთს ართმევდა იმ უფლებას, რომელიც თავის ძლევა-მოსილობით შეიძინა, მაშინვე საფიქრებელი იყო, რომ ეს ორი გულ-ნატკენი სახელმწიფო, რუსეთი და საფრანგეთი, ხელი-ხელს მისცემდნენ და აი, სწორედ ამიტომ მოიგონა თ. ბისმარკმა და დაამყარა სამთა კავშირი. რა-კი ეს ესე მოხდა, ევროპის პოლიტიკოსებს ეჭვი აღარა ჰქონდათ, რომ რუსეთი და საფრანგეთიც შეერთდებოდნენ და მეგობრულად დაკავშირდებოდნენ.

უცხოეთი

—

ავსტრი-ვენგრია. იმპერატორმა ფრანცმა იოსებმა მიიღო იაროსლავში დეპუტაცია პოლონელ თავად-აზნაურთა და წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ფრიად საყურადღებო სიტყვა: „თქვენ შორისო, სთქვა იმპერატორმა, დიდად ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, რადგანაც ვხედავ თქვენს ერთგულებასა და მამულის სიყვარულს; წარმომადგენელნი თქვენნი პარლამენტში ნამდვილი მამულიშვილები არიან და სცდილობენ დაიცვან ინტერესები, არა თუ მარტო თავის ქვეყნისა, არამედ მთელის მონარქიისა. ჩემი სულიერი კავშირი გალიციასთან აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენელნი გონიერად იქცევიან და ერთგულნი არიან მთელის სამეფოსი". დასასრულ, იმპერატორმა სთქვა, ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის, როცა ვხედავ, რა გონიერად მეთაურობს გალიციას პოლონელი არისტოკრატიაო.

—

ინგლისი. უკვე მთელი საუკუნეა, ინგლისის საზოგადო და საპოლიტიკო ცხოვრებაში ჟურნალ-გაზეთებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელს ქვეყანაზედ არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, სადაც ხალხი, უმაღლეს საზოგადოებიდგან დაწყებული ვიდრე სულ უბრალო მუშამდე, იმდენსა კითხულობდეს ჟურნალ-გაზეთებს, რამდენსაც ინგლისში კითხულობენ. ინგლისის ჟურნალ-გაზეთებისთანა მცოდნე, ერთგული თავის საქმისა და გულწრფელი ჟურნალ-გაზეთი არსად მოიპოვება. ჟურნალი, გაზეთი და ახალი წიგნი მთელის ინგლისის ერისათვის დიდი საშვალებაა სწავლა-განათლებისა. ინგლისელი მთელ თავის სიცოცხლეს გაზეთსა ჰკითხულობს, არა მარტო თავის შესაქცევად, არამედ იმისთვის, ახალი რამ შევიტყვო და ვისწავლოვო.

ლეკლერი სწერს, რომ ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში ინგლისის ჟურნალ-გაზეთებს ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდა მთელ სახელმწიფოს საქმეებზეო. ჯერ ისევ 1831 წელს ლორდმა ლინდგორსტმა უთხრა გრენვილს: „მართალი რომ სთქვას კაცმა, ბარნესი ყველაზედ ძლიერი კაცია მთელს სამეფოშიო". ბარნესი რედაქტორი იყო Times-ისა. 60 წლის შემდეგ, ე. ი. შარშან, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა ბანკეტზედ ლორდმა როზბერიმ სთქვა: ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მეთაურობენ სახელმწიფო საქმეთა წარმოებას და ავრცელებენ ხალხში თავის აზრსა ამა თუ იმ საქმის შესახებ. ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას რომ ეს ორი დიდი მოვალეობა კეთილ-სინიდისიერად არ აესრულებინა, იგი ღირსიც არ იქნებოდა ჩვენის სიყვარულისა და პატივისცემისა. ჩვენის პუბლიცისტების დროშაზედ შეიძლება შემდეგი სიტყვები აღიბეჭდოს: „იყავ მართალი და უშიშარი." დიაღ, ბრიტანიის ჟურნალ-გაზეთები სიმართლითა და გაბედულობით მაღლა სდგას მთელის ქვეყნის დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებზედ. თუ ჯერ 1831 წელს ბარნესი უძლიერესი კაცი იყო მთელს სამეფოში, მაშ ეხლა რაღა ითქმის ლონდონის 5-6 დიდრონ გაზეთებზედ.

ინგლისში სრულიად არ იბეჭდება წვრილი და უშინაარსო გაზეთები, როგორიც მრავლად გამოდის სხვა ქვეყნებში. ერთ პენსად უბრალო მუშასაც-კი შეუძლიან იყიდოს დიდი გაზეთი, რომელიც 8 გვერდს შეიცავს, და რომელშიაც შეუძლიან ამოიკითხოს მთელის ქვეყნის ახალი ამბავი, დეპეშებით მიღებული; ამ გაზეთში ამოიკითხავს ყველაფერს, რაც საყურადღებო რამ მოხდება მთელს ქვეყანაში და რაც-კი შეეხება პოლიტიკას, ლიტერატურას, მრეწველობას, ვაჭრობას და სხვა. ყველა ის ცნობები რიგიანად ახსნილია და განმარტებული.

ინგლისის გაზეთების რედაქტორები ფულს არ იშურებენ და დიდ ფასს აძლევენ ყველა ახალ ამბავსა და კორესპონდენციებში. ამ ფულსა ჰხარჯავენ განცხადების ბეჭდვისაგან შემოსულ ფულიდგან.

ნარკვევი

ინგლისის ჟურნალ-გაზეთები.

ინგლისის გაზეთები სულ სხვა-და-სხვა აზრისა არიან იტალიის მემკვიდრე პრინცის წასვლის გამო ლოტარინგიაში. ყველაზედ მეტად Times-ი თანაუგრძნობს ამ მოგზაურობას:

იტალიის პრინცის დასწრება გერმანიის ჯარის აღლუმზედ მოსალოდნელი შედეგია სამთა სახელმწიფოთა შეკავშირებისა. რომ აღძროდეთ კიდეც იტალიელთ ამ კავშირიდგან განდგომის სურვილი იმ შემთხვევაშიაც ეგ-მორტში მომხდარი ამბები შეაფიქრებდათ და სურვილს შეუცვლიდათ. 1859 წლიდგან ფრანგები წინააღმდეგნი არიან იტალიელთა თავისუფლებისა და თვით-მოქმედებისა. ძნელად, რომ შეიძლებოდეს დასახელება საფრანგეთის ერთის მოღვაწისა მაინც, რომელიც არ იყოს წინააღმდეგი იტალიელთა ნაციონალურ მისწრაფებისა. საფრანგეთის უმწვერვალესი რადიკალებიც-კი ვერ აღიარებენ გულ-ახდილად, ჩვენ არა გვსურს პაპის სამოქალაქო უფლების აღდგენაო. ეს არის მიზეზი, რომ პაპმა ურჩია საფრანგეთის კონსერვატორებს რესპუბლიკას მიმხრობოდნენ. ამ რიგად იტალიელთ სხვა გზა არ დარჩენოდათ, გარდა ევროპის შუა სამეფოებთან შეკავშირებისა. სამთა კავშირის წყალობით, რომი იტალიას მიეცა სამუდამოდ და იმპერიის პროვინციები—გერმანიას. ლოტარინგელნი ეხლა დარწმუნდნენ, რომ მათი ჩამოცლა გერმანიისაგან შეუძლებელია.

ლიბერალური გაზეთი Daily News ამბობს:

ეხლა ლოტარინგელთათვის გერმანიის ერთობა ისევე ცხადია, როგორც თვით გერმანელებისათვის. მეცის ეპისკოპოსის-მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიაც გამოიხატა საერთო გრძნობა ერთგულებისა, ამტკიცებს, რომ ლოტარინგიაში გერმანელთა სიძულვილი სამუდამოდ გაჰქრა.

მესამე გაზეთი Daily Telegraqh მეცის ამბავისა და რუსეთის ესკადრის მისვლის გამო საფრანგეთში, იმ აზრს დასდგომია, რომ ინგლისი სამთა კავშირს უნდა მიემხროსო.

უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ხმა გავრცელდა, ვითომც პაპი გარდაცვლილიყოს და ამ ამბავმა რომი ფეხზე დააყენა. ჰფიქრობენ, ეს ჭორი განგებ გაავრცელეს, ენახოთ როგორ იმოქმედებს ხალხზედ პაპის სიკვდილიო. ლეო XIII მართლა შეუძლოდ არის თურმე, ზაფხულის სიცხეებმა შეაწუხა, მაგრამ სასიკვდილო-კი სრულიად არა სჭირს-რა.

**

ამერიკაში დაარსებულა ცოლქმართა ურთიერთისაგან განშორებას დამზღვევი საზოგადოება. წევრად ყველას შეუძლიან ჩაეწეროს, თუ ყოველ წლივ დაწესებულ გადასახადს შეიტანს. ჯილდოს ის ცოლი ანუ ქმარი მიიღებს, რომელსაც ურთი-ერთისაგან განშორებაში დანაშაული არ მიუძღვის.

**

სპარსეთის შაჰის ერთი ჩიბუხი 400,000 მანათი ღირს თურმე.

გამოსადეგი ცნობანი

—

ფილოქსერის წინააღმდეგ ახალი წამალი

ერთს ფრანგულ სამეურნეო ჟურნალში (Journal d'agriculture pratique, 1893, tome II, № 33—17 Août), შემდეგი, ჩვენთვის ფრიად საყურადღებო, ამბავი სწერია:

„გაჩნდა თუ არა ფილოქსერა ევროპაში და შეიგნეს თუ არა, რომ ეს ვენახის მტერი ვაზის ფესვებს ეტანება და სწუწნის, ზოგიერთმა მსწავლულმა ბოტანისტებმა იმ თავითვე ურჩიეს მამულის პატრონთ, ვენახებში საწამლავიანის მცენარის გაშენება და გამრავლება სასარგებლო უნდა იყოს, ჩვენის ფიქრით, რადგან წვიმის წყლისაგან ჩანარეცხი ამ მცენარეების წვენი მოსწამლავს ფილოქსერასაო. ეს რჩევა უყურადღებოდ დასტოვეს და მივიწყებას მისცეს, მაგრამ ერთი ქიმიკოსი, ბ-ნი მომენე, თავისას არ იშლიდა და ხშირად გაახსენებდა ხოლმე მამულის პატრონებს ამ საყურადღებო რჩევას, თუმცა-კი სახელდობრ არ აღნიშნავდა, თუ რა მცენარე იქნებოდა გამოსადეგი ამ შემთხვევაში.

ბოლოს, თუ დავუჯერებთ, ბ-ნს დებრეილს, რომელიც კიპროსის კუნძულზე ინგლისის წარმომადგენელია, ეს სასწაულთ-მოქმედი მცენარე კიდევაც აღმოუჩენია უბრალო შემთხვევის გამო. ერთ ზვარში, რომელიც თურმე სრულიად განადგურებული იყო ფილოქსერისაგან და კვრანად გაშვებული, თავის თავად ამოსულა ეს მცენარე და მას შემდეგ ვენახს უწყია აღორძინება და იმ ზომამდე აყვავებულა და გაკეთებულა, რომ ბევრად გადაუჭარბებია მეზობლად მდებარე ზვრებისათვის, რომელთაც გულ-მოდგინედ ექიმობდნენ ფილოქსერის წინააღმდეგ. ეს მცენარე გახლავთ Rhus coriaria ლათინურად, le sumac—ფრანგულად და თრიმლი ქართულად (მედვედევი ამ მცენარეს უწოდებს—თუთუბოს, მაგრამ, როგორც ჩვენ გამოკითხვით და იმ მცენარის თვისებით შევიტყეთ, მისი სახელი უფრო თრიმლი უნდა იყოს, რადგან თვით ეს ფრანგული ჟურნალი და ჩვენებური მცოდნე კაცნიც გვარწმუნებენ, რომ ამ მცენარის ფოთოლს ხმარობენ ტყავის,' განსაკუთრებით, სამოგვის გასაწმენდად და დასარბილებლად). პორტუგალიის სამეურნეო ჟურნალი ამტკიცებს ამ გარემოებას და მოჰყავს ამ ნაირივე მაგალითი.

შეიძლება ბევრმა იჭვის თვალით შეხედოს ამ ამბავს, მაგრამ თვით საქმის სიმძიმე თხოულობს ყოველ ნაირ ცდას. ღმერთმა თუ ქნა, და ეს ამბავი მართალი გამოდგა, როგორ გაადვილდება ფილოქსერასთან ბრძოლა, ადვილი წარმოსადგენია".

ამ სიტყვებს ჩვენ მხოლოდ ამას დავსძენთ, რომ ჩვენი უმთავრესი ცხოვრების საღსარი ვენახია და არაფერი არ უნდა დავიშუროთ მის დასახსნელად. თუ მარტო მთავრობას შევჰყურებდით და ჩვენთავად არაფერი ვიღონეთ, გამოგვეცლება ვენახები ხელიდამ. სხვა არა იყოს-რა, მარტო მართებლობა ვერ გასწვდება მთელ ქვეყანას. გავიხსენოთ, რომ ორი საუკეთესო ღვინის მოსავლის კუთხე—გურია და სამეგრელო წაგვართვა ნაცარმა და ეხლაც რომ ჩვენ თვითონ არ დავტრიალებულიყავით და ობის წინააღმდეგ არაფერი გვეღონა, მთლად დავიღუპებოდით. ეხლა ვინც შეგნებული და ცოტათი მაინც შეძლებული მემამულეა, უნდა შეუდგეს ამის გამოცდას. ბ-ნი პ. წულუკიძე აპირობს კიდევ

თრიმლის მოშენებმს თავის ვენახში, რომელშიაც უკვე გაჩენილა ფილოქსერა.

კ. ბაქრაძე

სასამართლოს მატიანე

ახირებულ ამბავს იუწყება გაზეთი Кiев. Слово. საქმე ელისავეტგრადის მაზრაში ყოფილა:

მოდიან ქალაქიდგან სოფლად ორი გლეხი პავლო და მიკულა. წინ მიდის პავლო ურმით, რომელშიაც ორი ლამაზი, მოსული და გამოკვებული ხარი უბია. ურემზედ ზის მოხუცი და გონჯი ცოლი. უკანა ურემში შებმულია ორი გამხდარი, ფერდებ-ჩაწყვეტილი ხარი, რომლებიც ფეხებს ძლივს მიათრევენ. სამაგიეროდ ურემზედ ზის ლამაზი, ახალგაზდა, თურაშაულივით ლოყებ-აწითლებული ცოლი მიკოლასი. ვინც წინ შემოხვდება ამ ურემს, დასცინიან მიკოლას, მაგ ხარების პატრონს შორს წასვლა უხაროდესო, მაგრამ ურემს რომ შეჰხედავენ, ენაზე იკბენენ და ქუდს იხდიან: გამარჯობა, ლამაზოვო. პავლომ გაუსწრო, მიკოლა თანდათან უფრო ჩამორჩა.

— დამიცადე, კაცო, უყვირის მიკოლა, ერთად წავიდეთო. ნეტავი შენ, მაგისთანა ხარები გყავს!

— ჩემი ხარები რომ მოგწონს, აბა ახლა შენს ცოლს შეხედე, რა გვრიტუნა არის. ჩემი ცოლი-კი ჯოჯოსა ჰგავს!

— თუ ჩემი ცოლი ეგრე მოგწონს, მოდი ცოლებიც გავცვალოთ და ხარებიცაო, უთხრა მიკულამ.

პავლო მაშინადვე დათანხმდა, შესცვალა ხარები, ჩამოაბძანა გონჯი ცოლი, შესვა ლამაზი ქალი და გზას გაუდგნენ. დახვდათ დუქანი, გადმოხტნენ და „ტომბახი“ ჩამოასხეს.

იქვე დუქანში ვიღაც „ნასწავლი“ ნახეს და პირობის ქაღალდი დააწერინეს, რომ ვაჭრობა დაეკანონებინათ. გაცვლილმა ცოლებმა კარგად გადაჰკრეს, მოუვიდათ ჩხუბი და გასაშველებლად ჩარეული ქმრები ლაზათიანად მიჰბეგვეს. ქმრები სოფლის სასამართლოში გაიქცნენ საჩივლელად; იმის გასაგებად, თუ რომელი რომლის ცოლია, პირობის ქაღალდი წარადგინეს. სასამართლომ ორსავე მომჩივანს როზგი მიუსაჯა. პავლო და მიკოლა განცვიფრებულნი ეკითხებოდნენ ყველას: რა უკანონობა ჩავიდინეთ, — ჩვენ ხომ პირობის ქაღალდი გვაქვსო? ან ვის რა საქმე აქვს, რომ ჩვენ ცოლები გავცვალოთო?

დეპეშა

3 სექტემბერი

პეტერბურგი. დღეს ბჭობა გაიმართა სავაჭრო და სამანუფაკტურო დეპარტამენტში. დაესწრნენ: წარმომადგენელნი სახელმწიფო ბანკისა და დამზღვევ „საზოგადოებათა“. კრებას უნდა გამოერკვია ის პირობანი, რა პირობებიათაც შეიძლება დაიზღვეს პური, რომელსაც მთავრობა შეიძენს მემამულეთაგან და რომელშიაც სესხს გასცემს. სხვა-და-სხვა დამზღვევ საზოგადებათ გამოაცხადეს სრული თანხმობა, პურს დასაზღვევად მივიღებთ, თუ გინდა ძლიერ საშიშ საწყობებშიაც იყოს შენახული, ხოლო აწინდელ ტარიფის ნახევარ ფასადაო.

პარიჟი. ქალაქის საბჭომ გამოაცხადა სურვილი, ხმელთა შუა ზღვაში რუსეთის ესკადრისათვის სამუდამო ნავთ-სადგურად დანიშნულ იქმნას აიაჩჩიო და ადგილიც მივცეთ რუსეთის ეკკლესიის ასაგებადაო.

რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემ დღესასწაულის გასამართავად ოთხის გაზეთის მიერ უკვე შეგროვილ იმნა 15,000 ფრანკი; პროვინციების გაზეთებიც აგრეთვე ჰგზავნიან ფულსა. ძვირფასს სტუმართათვის გაიმართება ნადიმი გამოფენის მაშინათა გალერეიაში. სამხედრო და ზღვის უწყებათა კომიტეტმა გადასწყვიტა შეუერთდეს პარიჟის ჟურნალ-გაზეთების კომიტეტს, რათა დღესასწაულს მეტი ბრწყინვალება ჰქონდეს.

4 სექტემბერი

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბე“ იუწყება, რომ ხოლერის გამო შავის-ზღვის ყველა სახალხო გემებზედ მკურნალები იქმნებიან დანიშნულნი.

პარიჟი. გუშინ გრენობლში დაასაფლავეს გვამი გენერალის შირიბელისა. დასაფლავებას დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი და რუსეთის სამხედრო აგენტი. წარმოთქმულ იქმნა სიტყვები საპოლიტიკო შინაარსისა.

5 სექტემბერი

პეტერბურგი. რექტორი კიევის სემინარიისა არქიმანდრიტი პეტრე დანიშნულ იქმნა სოხუმის ეპისკოპოსად.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,67	7,69	— ,,
ტამოჟნის კუპონები	153	153¾	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	239½	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	217
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	192
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	100½	— ,,	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	100¼	— ,,	— ,,
5%	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98½	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განცხადებანი

ქ. ოზურგეთსა და ახალ-სენაკში გ. თავართქილაძის-მიერ ახლად გამოცემულია შემდეგი წიგნები:

		მან.	კაპ.
ხოლერა და იმისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი, დიმ. ერისთავისა	. . . .	„	10
სამშობლოს სიყვარული, მონტეგაციდან, ს. ყიფიანისა		„	5
თეოფ. ხუსკივაძის ნაწერები		„	30
საყმაწვილო ბიბლიოთეკა ოცხანელისა, მეორე გამოცემა	. . . . .	„	5
ამპარტავანი გიორგი, მეორე გამოცემა, გარშინისა	. .	„	5
ვეფხის-ტყაოსანი სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, მეორე გამოცემა	. . . .	„	40
სიმონა, ე. ნინოშვილისა	.	„	30
რამდენიმე მოთხრობა, ე. ნინოშვილისა	. . . . .	„	50

და სხვა და სხვ...

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. გურიაში არსენ კალანდაძესთან. ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში. ბათუმში ბ. კალანდაძესთან. განჯაში დ. ქელიძესთან.

ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქელიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცეუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში 1 სექტემბრიდამ 5-მდე მიღებულ იქმნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელს მოსამართლეს) ქ. ტფილისში, სკოლის ზედამხედველს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელს კლასის პირველს განყოფილებაში არ იქმნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა, და სასოფლო მეურნობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანათი, შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: შესანახავი მთელი წლის ფული 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станцiя Мцхетъ, смотрителю Цинамсгварiантъ-карской селско-хозяйственной школы.

Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე